

## ვერბალური ნაწილი

### ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუჭებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

#### **1. დიალოგი : სიტყვა**

- (ა) დაყოფა : ნაწილი
- (ბ) სიარული : ნაბიჯი
- (გ) ძილი : სიზმარი
- (დ) კვლევა : საკითხი

#### **2. სკა : თაფლი**

- (ა) რეზიდენცია : კაბინეტი
- (ბ) არქივი : დოკუმენტი
- (გ) ბედელი : ფქვილი
- (დ) მარანი : ღვინო

#### **3. მოხეტიალე : მოგზაური**

- (ა) მომღერალი : ვოკალისტი
- (ბ) ხუმარა : კომიკოსი
- (გ) ვეჭილი : ადვოკატი
- (დ) ხელოვანი : მოქანდაკე

#### **4. ვარაუდი : წინასწარი**

- (ა) ფაქტი : შემთხვევითი
- (ბ) დასკვნა : გამომდინარე
- (გ) საკითხი : განსახილველი
- (დ) მიზანი : განხორციელებული

#### **5. ლაყუჩი : ფილტვი**

- (ა) ჰამაკი : ბადე
- (ბ) იალქანი : პარაშუტი
- (გ) როიალი : ვიოლინო
- (დ) რობოტი : კომპიუტერი

#### **6. რეზერვუარი : მარაგი**

- (ა) ლაბირინთი : განლაგება
- (ბ) ცენზურა : კონტროლი
- (გ) სტერეოტიპი : გამეორება
- (დ) მაკეტი : მასშტაბი

**7. ჯავშანი : სკატანდრი**

- (ა) შენაკადი : შესართავი
- (ბ) კვირტი : ყვავილი
- (გ) იგავი : ნოველა
- (დ) გუგა : თვალი

**8. ანესთეზიოლოგი : ქირურგი**

- (ა) რედაქტორი : მწერალი
- (ბ) გრიმიორი : რეჟისორი
- (გ) მხატვარი : ფერმწერი
- (დ) ფიზიკოსი : ლაბორანტი

**9. სახეობა : მრავალფეროვნება**

- (ა) ბგერა : ჰარმონია
- (ბ) ფერი : სპექტრი
- (გ) იეროგლიფი : ანბანი
- (დ) აზრი : კონსენსუსი

**წინადადებების შევსება**

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

**10.** ----- ორატორი, რომელიც ----- , რაც ----- , და ----- იმაზე მეტს, ვიდრე საჭიროა.

- (ა) წარმატებულია / ამბობს ყველაფერს / საჭიროა / არ ამბობს
- (ბ) წარუმატებელია / მხოლოდ იმას ამბობს / საჭიროა / ამბობს
- (გ) წარმატებულია / არ ამბობს იმას / არაა საჭირო / ამბობს
- (დ) წარუმატებელია / მხოლოდ იმას ამბობს / საჭირო არაა / არ ამბობს

**11.** ხელოვნებაში შესაძლებელია არა მარტო აკრძალულის, არამედ შეუძლებლის გამოხატვაც. ----- სინამდვილესთან შედარებით ხელოვნება ----- თავისუფალია, ----- , თავისუფლების ეს განცდა ----- დამკვირვებელს, რომელიც ხელოვნებას სინამდვილის პოზიციიდან უმზერს.

- (ა) ამიტომ / ნაკლებად / ამასთან / არ გულისხმობს
- (ბ) ამიტომ / ბევრად უფრო / თუმცა / გულისხმობს
- (გ) მიუხედავად ამისა, / ნაკლებად / თუმცა / არ გულისხმობს
- (დ) მიუხედავად ამისა, / ბევრად უფრო / ამასთან / გულისხმობს

**12.** საერთაშორისო ურთიერთობებში ----- კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებები სახელმწიფოთა შორის. შესაბამისად, სამხედრო ძალა ----- ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი, ----- მისი მნიშვნელობა ----- .

- (ა) ვერ ჩამოყალიბდა / აღარ არის / თუმცა, ნებისმიერ სიტუაციაში, ყოველგვარ ურთიერთობაში / გასათვალისწინებელი არ არის
- (ბ) მკვიდრდება / აღარ არის / თუმცა, კრიტიკულ სიტუაციებში, გარკვეული ტიპის ურთიერთობებში / კვლავაც დიდია
- (გ) ვერ ჩამოყალიბდა / შეიძლება იყოს / ამიტომ კრიტიკულ სიტუაციებში, გარკვეული ტიპის ურთიერთობებში / გასათვალისწინებელი არ არის
- (დ) მკვიდრდება / შეიძლება იყოს / ამიტომ ნებისმიერ სიტუაციაში, ყოველგვარ ურთიერთობაში / კვლავაც დიდია

**13.** ადამიანის გააზრებულ ქმედებას ყოველთვის აქვს რაიმე მიზანი. მიზანი ----- მოვლენის ----- . ამიტომ ----- , რომ ადამიანის სწრაფვა, მიზანი „დაუსახოს“ საკუთარ მოქმედებებს, ----- მიანიშნებს.

- (ა) აუცილებლად გულისხმობს / გარკვეულ დასასრულს / უნდა ვიფიქროთ / უწყვეტი რეალობის პირობით სეგმენტებად დაყოფის მცდელობაზე
- (ბ) როდი გულისხმობს / უსასრულობას / უნდა ვიფიქროთ / ამ მოქმედებათა უსასრულო პროცესებად აღქმის მცდელობაზე
- (გ) აუცილებლად გულისხმობს / უსასრულობას / არ უნდა ვიფიქროთ / ამ მოქმედებათა უსასრულო პროცესებად აღქმის მცდელობაზე
- (დ) როდი გულისხმობს / გარკვეულ დასასრულს / არ უნდა ვიფიქროთ / უწყვეტი რეალობის პირობით სეგმენტებად დაყოფის მცდელობაზე არ

## ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

### 14. მოცემულია:

- თუ პრეზიდენტი ხელს მოაწერს ამ კანონპროექტს, ის დაკარგავს ფერმერთა ნდობას
- თუ პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს ამ კანონპროექტს, ის დაკარგავს ბიზნესმენთა მხარდაჭერას

დავუშვათ, რომ ყველა ეს წინამძღვარი ჭეშმარიტია. მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა აუცილებლად **მცდარი**?

- (ა) პრეზიდენტი არ დაკარგავს ფერმერთა ნდობას
- (ბ) პრეზიდენტი არ დაკარგავს ბიზნესმენთა მხარდაჭერას
- (გ) პრეზიდენტი არ დაკარგავს ან ფერმერთა ნდობას ან ბიზნესმენთა მხარდაჭერას
- (დ) პრეზიდენტი არ დაკარგავს არც ფერმერთა ნდობას და არც ბიზნესმენთა მხარდაჭერას

**15.** ორი კოლოფიდან ერთ-ერთში დევს ბეჭედი, ერთ-ერთში – ძეწკვი. I კოლოფს აწერია: „ამ კოლოფში არ დევს ძეწკვი“, II კოლოფზე კი ასეთი წარწერაა: „ბეჭედიც და ძეწკვიც ამ კოლოფშია“. ამ წარწერებიდან ერთი ჭეშმარიტია, ერთი – მცდარი.

რომელ კოლოფშია ბეჭედი და რომელში – ძეწკვი?

- (ა) ბეჭედი დევს I კოლოფში, ძეწკვი – მეორეში
- (ბ) ბეჭედი დევს II კოლოფში, ძეწკვი – პირველში
- (გ) ორივე დევს I კოლოფში
- (დ) ორივე დევს II კოლოფში

**16.** სტუდენტები დისკუსიას მართავდნენ აუდიტორიაში, რომელსაც დამკვირვებელთა ოთახისგან მინის ტიხარი ყოფდა. დამკვირვებლებს მხოლოდ ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე უნდა გამოერჩიათ ის სტუდენტი, რომელიც ყველაზე აქტიური იყო და წარმართავდა დისკუსიას. ერთმა დამკვირვებელმა ასეთად **A** სტუდენტი მიიჩნია, ხოლო მეორემ – **B** სტუდენტი.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტით შეიძლება აიხსნას ეს განსხვავება?*

- (ა) დისკუსია შეეხებოდა სტუდენტებისთვის აქტუალურ საკითხს და ამიტომ დისკუსიაში ყველა აქტიურად იყო ჩართული
- (ბ) **A** სტუდენტი იყო სადისკუსიო კლუბის ხელმძღვანელი, ხოლო **B** სტუდენტი – მისი მოადგილე
- (გ) დამკვირვებლები სხვადასხვა მხარეს ისხდნენ და მათი მხედველობის არეში სხვადასხვა სტუდენტი მოექცა
- (დ) დამკვირვებლები გამოცდილი მკვლევრები იყვნენ და ისინი დისკუსიის მსვლელობის ყველა ნიუანსს ზუსტად აღნუსხავდნენ

**17.** მოცემულია წანამძღვრები:

- ბოსტნეული სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, თუ ის მოყვანილია ეკობიოლოგიური მოთხოვნების დაცვით
- ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტი არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს
- ყვავილოვანი კომბოსტო ბოსტნეულია

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ გამომდინარეობს ამ წანამძღვრებიდან?*

- (ა) ყვავილოვანი კომბოსტო სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, თუ ის მოყვანილია ეკობიოლოგიური მოთხოვნების დაცვით
- (ბ) თუ საკვები პროდუქტი შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, ის არ არის ყვავილოვანი კომბოსტო
- (გ) ბოსტნეული არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, თუ ის მოყვანილია ეკობიოლოგიური მოთხოვნების დაცვით
- (დ) ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს

**18.** მოცემულია:

- ისლანდიელ მხატვარ-მარინისტთა ნამუშევრები არ მომწონს
- ჩემს მეგობრებს მოსწონთ ისლანდიელ მხატვარ-მარინისტთა ნამუშევრები

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?*

- (ა) ზოგიერთი მხატვარი-მარინისტი არაა ისლანდიელი
- (ბ) სხვა ქანრში მომუშავე ისლანდიელ მხატვართა ნამუშევრებიც არ მომწონს
- (გ) ზოგიერთი ადამიანი იზიარებს ჩემს შეხედულებებს ისლანდიელ მხატვარ-მარინისტთა ნამუშევრების შესახებ
- (დ) ჩემი შეხედულებები ყოველთვის არ ემთხვევა სხვა ადამიანთა თვალსაზრისს

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

ქართული მრავალხმიანობის შინაგანი განვითარების კვალი, ერთი მხრივ, ხმათა სახელებში, მეორე მხრივ, თვით სიმღერებში გვაქვს დაცული. მრავალხმიანობა თანდათანობით განვითარდა ჰარმონიული ხმაშეწყობილობიდან, რომლის საფუძველი დაბალი ხმა უნდა ყოფილიყო. ამ გარემოებას ქართული სამუსიკო ტერმინოლოგიაც ადასტურებს. ძველად **ბანი** ხმაშეწყობილობას ეწოდებოდა და ის თავდაპირველად იმდენად გარკვეული ხმის სახელი არ იყო, რამდენადაც შებანების, ხმის შეწყობის გამომხატველი. მაგრამ შემდეგში ბანი სწორედ დაბალი ხმის სახელად იქცა – ჯერ ბოხი ხმის სინონიმი გახდა, შემდეგ კი მის აღმნიშვნელ ერთადერთ ტერმინად დარჩა.

ქართულ სამუსიკო ტერმინოლოგიაში სამი სხვადასხვა სახელი გვაქვს: **ბანი**, **მალალი ბანი** და **დაბალი ბანი**. ეს ტერმინები რომ ძველია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ძველ ქართულ თხზულებებში გვხვდება და საქართველოს სხვადასხვა, თანაც ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ კუთხეებშია ამ სახით დაცული, მაგალითად, კახეთსა და აჭარაში. თავდაპირველად მალალ ბანად, სავარაუდოდ, პირველი ხმა იყო მიჩნეული. ძველ ქართულ გალობა-სიმღერებში, რომლებშიც მეორე, ანუ მოძახილად წოდებული ხმა ამბობს მთავარ ჰანგსა და სიტყვებს, პირველს, ანუ მალალ ხმას, ბანის მსგავსივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

თავდაპირველად **მალალი ბანი** მართლაც პირველი ხმა რომ იყო, ამის დასაბუთება ძველი ხალხური სიმღერების ანალიზით შეიძლება. განვიხილოთ, მაგალითად, ცნობილი სიმღერა „თებრონე მიდის წყალზედა“. ამ სიმღერას ამბობს სამი ხმა, რომელთაგან ჰანგის მთქმელი მეორე ხმაა, მოძახილი. ჰანგის მთქმელს გაბმულ ბანს აძლევს მესამე ხმა, რომლის მოძრაობა ერთი-ორი ტონის ფარგლებს არ სცილდება. ეს ქართულ სიმღერებში, თუ ჩვეულებრივი არა, იშვიათი მოვლენა მაინც არ არის. ყველაზე საყურადღებო ამ სიმღერაში პირველი ხმაა, რომელიც ზედმიწევნით იმასვე მღერის, რასაც ბანი, მხოლოდ მასზე ოქტავით უფრო მაღლა. ამ შემთხვევაში პირველი ხმა არსებითად იგივე ბანია. ამრიგად, მოძახილს ორი ხმა აძლევს ბანს, რომელთაგან ერთი დაბალი ხმით მღერის, მეორე კი მაღალი ხმით. ზემოაღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჰანგის მთქმელისა და მობანეთა ხმებისგან შემდგარი ორხმიანობა სამხმიანობად თავდაპირველად მაღალი ბანის გაჩენით იქცა. მაღალი ბანი მოძახილზე უფრო წვრილი ხმით მღეროდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ ბანის სიმღერას იმეორებდა.

რაც შეეხება საკრავიერ (ინსტრუმენტულ) მუსიკას, ის თავდაპირველად მხოლოდ ხმის შესაწყობად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და, შესაბამისად, აქ პირველად ბანის, ანუ ბოხი ხმის გამომცემი ძალი\* უნდა გაჩენილიყო. განვითარების მომდევნო საფეხურად ჰანგის დასაკრავად განკუთვნილი ძალის დართვა უნდა მივიჩნიოთ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ხმის ასაყოლებლად განკუთვნილ ერთ-ერთ სიმებიან საკრავს (ჩანგს) ქართულად უძველეს ხანაში **ებანი** ეწოდებოდა, ხმის შეწყობის აღმნიშვნელი სიტყვისა და ხმის შესაწყობი საკრავის სახელის მონათესავეობის აზრი თავისთავად დაიბადება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სიმღერაში ხმათა შეწყობის ჩამოყალიბებისთვის საკრავს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ქართული მრავალხმიანობისთვის გადამწყვეტი მაინც ბანის გაჩენა და მისი გაორება უნდა ყოფილიყო. ბანის გაორების პროცესს, რომელმაც მაღალი ბანი და მესამე ხმა წარმოშვა, მხოლოდ ხმიერი მუსიკის წიაღში შეიძლება დასაბამი.

\*ძალი – სიმი.

**19. ბანი:**

- (ა) ქართული სიმღერის მრავალხმიანობის პირველ საფეხურზე დაბალი ხმის სახელი იყო, შემდეგ კი ხმის შეწყობის გამომხატველი ტერმინი გახდა
- (ბ) როგორც თავდაპირველი, ასევე, გვიანდელი მნიშვნელობით ქართული სიმღერის მრავალხმიანობას უკავშირდება, ტერმინის ფუნქცია კი ბოლო პერიოდში შეიძინა
- (გ) ქართული სიმღერის მრავალხმიანობის განვითარებამდე ბოხი ხმის სინონიმი იყო, ხოლო როგორც ტერმინი, ხმის შეწყობას აღნიშნავს
- (დ) როგორც ქართული სამუსიკო ტერმინი, გარკვეული ხმის სახელი არ იყო, ყოველთვის ხმის შეწყობას გამოხატავდა

**20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულ მრავალხმიანობას წინ უძღოდა ერთხმიანი სიმღერა?**

- (ა) ქართულ სიმღერაში ბანი მეორადია, სხვა ხმაზეა დამოკიდებული, კერძოდ, მაღალ ბანზე – პირველ ხმაზე, რომელიც მთავარ ჰანგს ამბობს
- (ბ) ჰარმონიული ხმაშეწყობილობა თანდათანობით განვითარდა, რისი საფუძველიც დაბალი ხმა – ბანი – უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ერთხმიან სიმღერაში მელოდიაც მას მიჰყავდა
- (გ) ხშიერ მუსიკაში თავდაპირველად მთავარი ჰანგისა და სიტყვების მთქმელი უნდა ყოფილიყო ის, ვინც მოძახილს ამბობს. რამდენადაც ბანი ხმაშეწყობილობას ეწოდებოდა, ის უკვე თავისთავად გულისხმობდა ხმის შესაწყობის არსებობას
- (დ) ხალხურ სიმღერებში პირველს, ანუ მაღალ ხმას, ყოველთვის გაბმული ბანის მსგავსი დანიშნულება არ ჰქონდა, ზოგჯერ მთავარ ჰანგსა და სიტყვებსაც ამბობდა

**21. ძველი ხალხური სიმღერის („თებრონე მიდის წყალზედა“) განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სიმღერაში:**

- (ა) ჰანგის მთქმელია მეორე ხმა – მოძახილი, რაც ქართულ სიმღერაში ჩვეულებრივი მოვლენა არაა
- (ბ) მოძახილისა და ბანის მოძრაობა ერთი-ორი ტონის ფარგლებს არ სცილდება, რაც იშვიათი მოვლენა არ არის
- (გ) ყველაზე საყურადღებო პირველი ხმაა, რადგან ის იმავე ტონალობაში მღერის რომელშიც – ბანი
- (დ) მოძახილს ორი ხმა აძლევს ბანს – პირველი და მესამე, ამასთან, პირველი ხმა ბანის მელოდიას მღერის

**22.** ერთი რაჭველი მომღერლის თქმით, „ფერხულს იწყებს მეორე ხმა, მას მოჰყვება მალალი და ბანო“. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრების არგუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ ეს ცნობა?

- (ა) რაჭულ კილოს პირველი ხმის ძველი სახელი ჰქონია დაცული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ტერმინს მერე სიტყვა „ბანი“ ჩამოსცილებია
- (ბ) სიმღერაში „თებრონე მიდის წყალზედა“ სამივე ხმა თანაბრადაა განაწილებული, რასაც ვერ ვიტყვით რაჭულ ფერხულზე, რომელსაც მეორე ხმა იწყებს
- (გ) ქართულ სამუსიკო ტერმინოლოგიაში დაცული ბანის სამივე სახელი ზუსტად ერთნაირი სახით გვხვდება საქართველოს ერთმანეთისგან დაშორებულ კუთხეებში: კახეთში, აჭარასა და რაჭაში
- (დ) რაჭული ფერხული სიმღერის თანხლებით სრულდება, რომელშიც პირველი ხმა არსებითად იმავე ბანის ჰანგს მღერის, მხოლოდ მასზე ოქტავით უფრო მაღლა

**23.** რა მიმართებაა ქართულ ხმიერსა და საკრავიერ მუსიკას შორის (მრავალხმიანობის განვითარების თვალსაზრისით)?

- (ა) ინსტრუმენტულ მუსიკაში ერთ-ერთი საკრავის სახელსა და ხალხურ სიმღერაში ერთ-ერთი ხმის სახელს მონათესავე ფუძეები აქვთ, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ სიმღერაში ბანის გაჩენამ განაპირობა სიმებიან საკრავებში ბანის გამომცემი ძალის დართვა
- (ბ) საკრავიერ მუსიკას მრავალხმიანობის განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – ჰანგისთვის განკუთვნილი სიმის გაჩენას ბანის გაორება მოჰყვა, რასაც ხმიერი მუსიკის წიაღში უნდა ჰქონოდა დასაბამი
- (გ) ორხმიანობა სამხმიანობად იქცა მაღალი ბანის გაჩენით, შესაბამისად, ქართულ სიმღერაში მრავალხმიანობა ინსტრუმენტული მუსიკის პარალელურად განვითარდა
- (დ) ხმიერ მუსიკაში ბანი ჰანგის მთქმელის შემდეგ გაჩნდა, საკრავიერ მუსიკაში კი ბანის გამომცემი ძალი იყო საწყისი საფეხური, რადგან მას პირველად აკომპანიერების დანიშნულება ჰქონდა



**24.** ქვემოთ მოცემულია ქართული მუსიკის მკვლევართა რამდენიმე გამონათქვამი:

I – დ. არაყიშვილი: „ქართულ სიმღერაში მეორე ხმა დამოუკიდებელ როლს ასრულებს, რაც განასხვავებს მას ევროპული მუსიკის პრინციპისგან, რომელსაც ხმათა თანაბარუფლებიანი განაწილება ახასიათებს“

II – ზ. ნადელი: „პირველ ხმას ქართულად ეწოდება დამწყები, ხოლო მეორეს – მოძახილი. მიუხედავად ამისა, ქართულ ხალხურ სიმღერებში მეორე ხმაა ჰანგის მთავარი მთქმელი“

III – ივ. ჯავახიშვილი: „საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, რომელთაგან ჩვენში მრავალხმიანობის შეთვისებაა საგულვებელი, ერთხმიანი სიმღერის მქონე ერების ვრცელი მიწაწყალია, რაც გავლენის არსებობას საეჭვოს ხდის“

IV – ივ. ჯავახიშვილი: „აკომპანემენტს, შეხმობა-აყოლებას ბანი ეწოდება, აკომპანემენტისა და დამღერებისათვის განკუთვნილ საკრავს კი – ებანი, რომელიც ჩანგის სინონიმად გვევლინება. ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ მხოლოდ ბგერითი მსგავსება იყოს“

მათგან რომელი არ შეიცავს ტექსტისგან განსხვავებულ ინფორმაციას?

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) IV

**25.** III აბზაცის გარდა, რომელ აბზაცში ჩანს ქართული პოლიფონიის განვითარების საფეხურები?

- (ა) I აბზაცში, რომელშიც გადმოცემულია ქართულ სიმღერასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკვანძო ტერმინის ისტორია
- (ბ) II აბზაცში, რომელშიც განხილულია ქართული სიმღერის სამი ხმის სახელი, თუმცა, საუბარია მხოლოდ პირველ საფეხურზე, როცა ერთხმიანობა ორხმიანობად იქცა
- (გ) IV აბზაცში, რომელშიც ხაზგასმულია ინსტრუმენტული მუსიკის როლი პოლიფონიის განვითარებაში და აკომპანირებისთვის განკუთვნილი სიმების გაჩენის მიმდევრობა
- (დ) V აბზაცში, რომელშიც დაზუსტებულია მუსიკის კონკრეტული სფერო, სადაც უნდა დაწყებულიყო ბანის გაორების პროცესი, რაც არსებითი ფაქტორი აღმოჩნდა სამხმიანი ქართული სიმღერის ფორმირებისთვის

## ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუჭი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდოდ პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ მიღებულ წყვილში სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს. პასუხის არჩევას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

### **26. მიამიტი :** უნდობლობა

- (ა) სიმამაცე
- (ბ) მზაკვრობა
- (გ) მტრობა
- (დ) თანაგრძნობა

უღმობელი :

### **27. ცხენი :** პონი

- (ა) ფაბულა
- (ბ) აბზაცი
- (გ) მინიატურა
- (დ) გრავიურა

ნაწარმოები :

### **28. იუმორი :** დამცინავი

- (ა) მლიქვნელი
- (ბ) თვალთმაქცი
- (გ) მეხოტბე
- (დ) ალერსიანი

ხოტბა :

### **29. ვიქტორინა :** პასუხის გაცემა

- (ა) გასაუბრება
- (ბ) რჩევა-დარიგება
- (გ) ახსნა-განმარტება
- (დ) დახმარება

კონსულტაცია :

### **30. ამბიციური :** ამაყი

- (ა) უშფოთველი
- (ბ) ემოციური
- (გ) დრამატული
- (დ) სასიამოვნო

იდილიური :

### **31. მეთოდი :** ანალიზი

- (ა) კორონაცია
- (ბ) მასკარადი
- (გ) პრეზენტაცია
- (დ) იუბილე

ცერემონია:

## წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდოდ პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

**32.** ჩვენ ვერ ვიტანთ ----- . თუ რაიმე ----- აღმოსავლური კულტურიდან, პირველ რიგში, „სიჭრელის“ კულტია. ----- ვეგუებით. ----- ცხოვრებაში, როგორც აზროვნებასა და მხატვრულ შემოქმედებაში.

- (ა) მონოტონურობას / შევიწყნარეთ / თუმცა, ერთფეროვნებასაც / „სიჭრელე“ ისევე გამაღიზიანებელია
- (ბ) მონოტონურობას / შევიწყნარეთ / სამაგიეროდ, ერთფეროვნებასაც ვერ / მონოტონურობა ისევე გვიხუთავს სულს
- (გ) „სიჭრელეს“ / ვერ მივიღეთ / მაგრამ ვერც ერთფეროვნებას / მონოტონურობა ისევე გვიხუთავს სულს
- (დ) „სიჭრელეს“ / ვერ მივიღეთ / მიუხედავად ამისა, ერთფეროვნებას / „სიჭრელე“ ისევე გამაღიზიანებელია

**33.** ხშირად სილამაზეს ვეძებთ იქ, სადაც მისი არსებობა არაა აუცილებელი. ფრესკაზე ----- სილამაზე, ----- . ფრესკის მხატვრის ----- , ესთეტიკური სიამოვნება მოგვეგვაროს. მან, ----- – ფრესკული მხატვრობა ხომ სულიერი ხელოვნებაა.

- (ა) ყოველთვის არის / ის მისთვის არსებითია / მიზანი როდია / პირიქით, შთაგონება უნდა აღგვიძრას
- (ბ) რომც იყოს / ის მაინც არაა არსებითი / მიზანი როდია / უწინარეს ყოვლისა, შთაგონება უნდა აღგვიძრას
- (გ) ყოველთვის არის / თუმცა, ის არაა არსებითი / მიზანია / ცხადია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება აღგვიძრას შთაგონება
- (დ) რომ იყოს / ის აუცილებლად არსებითი იქნებოდა / მიზანია / უწინარეს ყოვლისა, შთაგონება უნდა აღგვიძრას

**34.** ----- მრავალ ადამიანს ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში უხდება ცხოვრება, მათი სულიერი სამყარო ----- შთაბეჭდილებების გამო ერთმანეთს ----- ინტერესებით საზრდოობს. ----- , როგორც წესი, ერთმანეთის შინასამყაროს წვდომის ----- .

- (ა) მიუხედავად იმისა, რომ / ერთი და იმავე / უნათესავდება, მსგავსი / ეს სულიერი ერთიანობა / საფუძველი ხდება
- (ბ) მიუხედავად იმისა, რომ / განსხვავებული / უპირისპირდება, ურთიერთსაწინააღმდეგო / ეს სულიერი დაპირისპირება / აუცილებელი პირობაა
- (გ) რადგან / ერთი და იმავე / უნათესავდება, მსგავსი / ეს სულიერი ერთიანობა / საფუძველი ხდება
- (დ) რადგან / განსხვავებული / უპირისპირდება, ურთიერთსაწინააღმდეგო / ეს სულიერი დაპირისპირება / შესაძლებლობას გამორიცხავს

**35.** მდინარე ხმელეთის სხვადასხვა ნაწილს ერთმანეთისგან ყოფს. მით უფრო ყოფს მათ ზღვა და ამიტომ მიჩვეულნი ვართ, რომ წყალი გამყოფ ფაქტორად მივიჩნიოთ. ----- , არაფერი ისე ----- . გამყოფი მხოლოდ ----- . მაგალითად, ხმელთაშუა ზღვამ მხოლოდ იმიტომ ----- ანტიკური სამყაროს ცენტრი გამხდარიყო, რომ ----- .

- (ა) თუმცა / დამაახლოებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც წყალი / მთიანეთია / შეძლო / იგი ზღვა იყო
- (ბ) თუმცა / დამაშორებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც წყალი / მთიანეთია / ვერ შეძლო / იგი ზღვა იყო
- (გ) ამასთან / დამაახლოებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც ხმელეთი / წყალია / შეძლო / უამრავ კუნძულს აკავშირებდა კონტინენტურ საბერძნეთთან
- (დ) ამასთან / დამაშორებელი არ არის ადამიანებისთვის, როგორც ხმელეთი / წყალია / ვერ შეძლო / უამრავ კუნძულს აკავშირებდა კონტინენტურ საბერძნეთთან

**36.** ----- ქმედება ----- ზოგჯერ ----- სფეროში გადაინაცვლებს – როგორც კი ესა თუ ის ქმედება განხორციელდება, იგი შეიძლება ----- იქცეს.

- (ა) ექსტრავაგანტური, ორიგინალური / სხვათა მიერ განმეორებისას / ჩვევის / მიბაძვის საგნად
- (ბ) ჩვეული, სტანდარტული / შესრულებისას / ყოველდღიურობის / საგანგებო, სპეციფიკურ აქტივობად
- (გ) ექსტრავაგანტური, ორიგინალური / სხვათა მიერ განმეორებისას / მიბაძვის / არასტანდარტულ, უჩვეულო აქტივობად
- (დ) ჩვეული, სტანდარტული / შესრულებისას / დასწავლის / ყოველდღიურობის საგნად

**37.** გეომეტრიული ხელოვნების (ძვ. წ. აღ. IX–VII საუკუნეები) შეფასებისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ ეპოქის მხატვრული ნიმუშების სქემატურობა და მკაცრი გეომეტრიზმი გამოწვეული იყო არა მხატვრის ----- , სინამდვილე ----- აესახა, არამედ, ზოგადად, ამ ეპოქის ხელოვანთა მიერ სინამდვილის ----- , ფორმისა და ხაზის ----- შეგრძნებით.

- (ა) უუნარობით / საკუთარი განწყობის შესაბამისად / სუბიექტური აღქმით / ობიექტური
- (ბ) მიდრეკილებით / საკუთარი განწყობის შესაბამისად / რეალისტურად აღქმით / სუბიექტური
- (გ) უუნარობით / უფრო რეალისტურად / თავისებური აღქმით / ამ დროისათვის დამახასიათებელი
- (დ) მიდრეკილებით / უფრო რეალისტურად / რეალისტურად აღქმით / სუბიექტური

## ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

**38.** მუსიკის მოყვარულები ჯაზური მუსიკის კონკურსში გამარჯვებას B მუსიკოსს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, მათ გასაკვირად, კონკურსში D მუსიკოსმა გაიმარჯვა. მუსიკის მოყვარულებმა ეს ფაქტი D-ს მიმართ ჟიურის წევრთა მიკერძოებული დამოკიდებულებით ახსნეს.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აყენებს ეჭვქვეშ მუსიკის მოყვარულთა ამ ვარაუდს?*

- (ა) ჟიურის თავმჯდომარე ჯაზური მუსიკისადმი განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული
- (ბ) ჟიურის წევრთაგან ბევრი D-ს კოლეგა და მეგობარი იყო
- (გ) B განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა ამ კონკურსისათვის
- (დ) B თავის საშემსრულებლო ტექნიკას უკეთ ავლენს სიმფონიური მუსიკის ნაწარმოებთა შესრულებისას

**39.** დელფინარიუმში ბევრი დელფინი ჰყავთ. ამასთან:

- ყველა დელფინი მხიარულია
- ყველა დელფინი წყალბურთელია

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამოძინარეობს ამ მონაცემებიდან?*

- (ა) მხოლოდ წყალბურთელები არიან მხიარულები
- (ბ) ყველა წყალბურთელი მხიარულია
- (გ) ზოგიერთი წყალბურთელი არ არის მხიარული
- (დ) არსებობენ მხიარული წყალბურთელები

**40.** დიმიტრი, ნიკო და ლევანი მწერლები არიან. ერთი მათგანი რომანებს წერს, ერთი – ნოველებს, ერთი კი – სონეტებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ:

- ნოველისტს ყველაზე ნაკლები რაოდენობის წიგნი აქვს გამოცემული, თანაც ის მხოლოდ ქართულ გამოცემლობებთან თანამშრომლობს
- ლევანის დახმარებით, ნიკოს წიგნები გამოსცეს როგორც ქართულმა, ასევე, უცხოურმა გამოცემლობებმა
- ლევანს რომანისტზე მეტი რაოდენობის წიგნი აქვს გამოცემული

*რომელი ჟანრის ნაწარმოებებს წერს ნიკო?*

- (ა) რომანებს
- (ბ) ნოველებს
- (გ) სონეტებს
- (დ) მონაცემები საკმარისი არაა პასუხის გასაცემად

**41.** ვიქტორინის მონაწილეებს მეცნიერების სამი სფეროდან უსვამდნენ შეკითხვებს. მომდევნო ტურში გასასვლელად მონაწილეს ამ სამი სფეროდან ერთში მაინც უნდა დაეგროვებინა 25 ან მეტი ქულა. მომდევნო ტურში გავიდა 5 მონაწილე.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარებაა შეუძლებელი?*

- (ა) ხუთივე გამარჯვებულმა 25 ან მეტი ქულა დააგროვა ერთსა და იმავე სფეროში
- (ბ) სამმა გამარჯვებულმა გამსვლელი ქულა დააგროვა ერთსა და იმავე სფეროში, ორმა კი – სხვადასხვა სფეროში
- (გ) ერთ-ერთმა გამარჯვებულმა 25 ან მეტი ქულა დააგროვა თითოეულ სფეროში
- (დ) ყველა გამარჯვებულმა სხვადასხვა სფეროში დააგროვა გამსვლელი ქულა

**42.** მოცემულია:

- თუ მოლალურს რაიმე სიამოვნებს, ის კარგად გალობს
- მოლალურს ძალიან სიამოვნებს, როდესაც მინდვრის ყვავილებს ხედავს

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომდინარეობს ამ წანამძღვრებიდან?*

- (ა) თუ მოლალური კარგად არ გალობს, ის მინდვრის ყვავილებს ვერ ხედავს
- (ბ) თუ მოლალური კარგად გალობს, ის მინდვრის ყვავილებს ხედავს
- (გ) თუ მოლალური მინდვრის ყვავილებს ვერ ხედავს, კარგად ვერ გალობს
- (დ) თუ მოლალური კარგად გალობს, მას რაღაც სიამოვნებს

## წაკითხული ტექსტის გააზრება

*ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.*

როგორ ხდება, რომ ესა თუ ის ობიექტი გარკვეულ მომენტში ჩვენი ყურადღების ცენტრში ექცევა? ზოგჯერ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე ვირჩევთ, თუ რას მივაქციოთ ყურადღება. ამას **მიზნით მართულ** შერჩევას უწოდებენ. ამის საპირისპიროდ, გამოყოფენ **სტიმულით გამოწვეულ** შერჩევას, როდესაც გარემოში არსებული ობიექტებისა თუ მოვლენების (სტიმულების) მახასიათებლები თავად, ავტომატურად იქცევა ყურადღებას ჩვენი, როგორც დამკვირვებლის, მიზნებისგან დამოუკიდებლად. თუ ადამიანი, რომელიც ქუჩის გადაკვეთას აპირებს, შუქნიშანთან წითელზე შეჩერდება და ჩაფიქრდება, შუქნიშნის მოულოდნელი ცვლილება – მწვანე შუქი – განსაკუთრებული კონცენტრაციის გარეშეც მიიქცევა მის ყურადღებას.

იმის გასარკვევად, ყურადღების წარმართვაზე მიზნით მართული შერჩევა ახდენს მეტ ზეგავლენას, თუ – სტიმულით გამოწვეული, ჩატარეს ექსპერიმენტები. პირველი ექსპერიმენტის დასაწყისში ცდისპირებს ეკრანზე უჩვენებდნენ 6 ნაცრისფერ წრეს, თითოეულში ციფრი 8 იყო ჩაწერილი. ერთი წამის შემდეგ ეკრანზე გამოსახულება იცვლებოდა: ერთის გარდა, ყველა წრე უკვე წითელი იყო. ცდისპირს მოეთხოვებოდა, ერთი წამის განმავლობაში დაკვირვებოდა ნაცრისფერ წრეს და ეთქვა, მასში მეტობის (>) ნიშანი იყო ჩაწერილი, თუ – ნაკლებობის (<). ამ ამოცანის შესრულებისას ცდისპირები განზრახ მიმართავდნენ ყურადღებას ნაცრისფერ წრეზე.

მეორე ექსპერიმენტში 6 ნაცრისფერი წრისგან შემდგარ მწკრივს ერთი წამის შემდეგ ახალი ელემენტი – წითელი წრე – ემატებოდა. პირველი ექსპერიმენტისგან განსხვავებით, სადაც წითელი წრეები ერთგვარ ფონს ქმნიდა ნაცრისფერი წრისთვის, ამ შემთხვევაში ერთადერთი წითელი ობიექტი ისეთ სტიმულად გვევლინება, რომელიც, ჩვეულებრივ, ავტომატურად იქცევა ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ექსპერიმენტში ცდისპირებს მოეთხოვებოდათ, დაკვირვებოდნენ ერთ-ერთ ნაცრისფერ წრეს და ეთქვათ, მასში მეტობის (>) ნიშანი იყო ჩაწერილი, თუ – ნაკლებობის (<), უმეტეს შემთხვევაში ახალი ობიექტი უნებლიეთ იპყრობდა ცდისპირთა ყურადღებას. მონაწილეები უკეთ შეასრულებდნენ ამოცანას, თუ ყურადღებას არ მიაქცევდნენ წითელ წრეს, მაგრამ მათ არ შეეძლოთ მისი უგულებელყოფა. როგორც ჩანს, სტიმულით გამოწვეული შერჩევა არა მხოლოდ განსაზღვრავს ყურადღების მიმართულებას, არამედ შეიძლება აღმქმელის მიზნების საპირისპიროდაც მოქმედებდეს.

ყურადღება არეგულირებს ინფორმაციის ნაკადის შემოსვლას ცნობიერებაში. რონალდ ბროუდბენთმა შეიმუშავა *ყურადღების ფილტრის თეორია*, რომლის თანახმად, ყურადღება ამცირებს ინფორმაციის ნაკადს, ფილტრავს მას, ისე, რომ ცნობიერებამდე მხოლოდ გარკვეული ნაწილი აღწევს. ამ თეორიის მიხედვით, ინფორმაციის გაფილტვრა მის გადამუშავებამდე და მნიშვნელობის წვდომამდე ხდება.

ფილტრის თეორიის შესამოწმებლად ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეებს ეკეთათ ყურსასმენები, რომლებითაც მარჯვენა და მარცხენა ყურს ერთდროულად მიეწოდებოდა ორი სხვადასხვა ჩანაწერი – ქალისა და მამაკაცის ხმით წაკითხული ერთმარცვლიანი სიტყვების მწკრივები. ცდისპირს ყურადღება უნდა მიექცია მხოლოდ მარჯვენა ყურში მიწოდებული ინფორმაციისთვის და სიტყვები ზედმიწევნით ზუსტად გაემეორებინა. ექსპერიმენტის მიმდინარეობის გარკვეულ მომენტში ცდისპირს იმ ყურში, რომელში მიწოდებული ინფორმაციისთვისაც ყურადღება არ უნდა მიექცია, სიტყვებთან ერთად, ესმოდა ადამიანის სახელები, მათ შორის თავისი სახელიც. ცდისპირთა მესამედმა გაიგონა თავისი სახელი, ხოლო სხვა სახელების გაგება ვერავინ შეძლო. ამრიგად, ინფორმაცია, რომელიც, ინსტრუქციის თანახმად, ყურადღების მიღმა უნდა დარჩენილიყო, გარკვეულწილად მაინც გადამუშავდება, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიაღწიოს ცნობიერებამდე, თუ რაიმე ნიშნით იქნება გამორჩეული (მაგალითად, თუ ეს მსმენელის სახელია).

**43. ტექსტის I აბზაცში:**

- (ა) დასმულია საკითხი ყურადღების წარმართვის მექანიზმის შესახებ; გამოყოფილია ყურადღების ორი ფორმა, მოყვანილია ერთ-ერთი ფორმის გამოვლენის მაგალითი
- (ბ) დასმულია საკითხი ყურადღების ბუნების შესახებ; განხილულია ყურადღების ფორმები და მათი საილუსტრაციო ცხოვრებისეული მაგალითები
- (გ) განხილულია ყურადღების რამდენიმე მახასიათებელი, მითითებულია მათი სახელწოდება და მოყვანილია ერთ-ერთი მათგანის დამადასტურებელი ფაქტი
- (დ) მითითებულია ყურადღების ძირითადი ფაქტორები და ფორმები, მოცემულია ამ ფორმათა გამოყოფის მართებულობის დამადასტურებელი ცხოვრებისეული ფაქტი

**44. II აბზაცში აღწერილ ექსპერიმენტში, ერთის გარდა, ყველა წრის ფერს ცვლიდნენ იმ მიზნით, რომ:**

- (ა) გამოეკვლიათ, მოქმედებს თუ არა ფერის ცვლადობა ყურადღების წარმართვის პროცესზე
- (ბ) გამოეკვლიათ, რამდენად სწრაფად წარმართავენ ცდისპირები ყურადღებას ექსპერიმენტატორის მითითების შესაბამისად
- (გ) შეექმნათ ოპტიმალური სიტუაცია სტიმულით გამოწვეული ყურადღების აღმოცენება-წარმართვისთვის
- (დ) შეექმნათ ყურადღების კონცენტრაციისა და მიზანმიმართულად წარმართვის ხელშემწყობი პირობები

**45. რა მიმართებაა II და III აბზაცებში აღწერილ ექსპერიმენტებს შორის?**

- (ა) პირველ ექსპერიმენტში შეისწავლებოდა ყურადღების ერთ-ერთი ფორმა, ხოლო მეორეში – ორივე ფორმის ყურადღების ურთიერთმიმართების საკითხი
- (ბ) როგორც პირველ, ისე მეორე ექსპერიმენტში შეისწავლებოდა ფერის როლი ყურადღების ორივე ფორმის აღმოცენება-წარმართვაში
- (გ) პირველ ექსპერიმენტში იკვლევდნენ ინსტრუქციის როლს მიზნით მართული ყურადღების აღმოცენებაში, ხოლო მეორეში – სტიმულით გამოწვეული შერჩევის თავისებურებებს
- (დ) როგორც პირველ, ისე მეორე ექსპერიმენტში იკვლევდნენ ერთი და იმავე ექსპერიმენტული პირობების ზეგავლენას მიზნით მართული და სტიმულით გამოწვეული ყურადღების აღმოცენებაზე



**46.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოგვადგება იმის არგუმენტად, რომ „სტიმულით გამოწვეული შერჩევა ... შეიძლება აღმქმელის მიზნების საპირისპიროდაც მოქმედებდეს“?

- (ა) ერთადერთი წითელი ობიექტი ისეთ სტიმულად გვევლინება, რომელიც, ჩვეულებრივ, ავტომატურად იქცევს ყურადღებას
- (ბ) ამოცანის შესრულებისას ცდისპირები განზრახ მიმართავენ ყურადღებას ნაცრისფერ წრეზე
- (გ) უმეტეს შემთხვევაში ახალი ობიექტი უნებლიეთ იპყრობდა ცდისპირთა ყურადღებას
- (დ) თავდაპირველად მოცემული 6 ნაცრისფერი წრისგან შემდგარ მწკრივს ერთი წამის შემდეგ ახალი ელემენტი – წითელი წრე – ემატებოდა

**47.** ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- (ა) ცდისპირთა დიდმა ნაწილმა ვერ გაიგონა თავისი სახელი, რადგან მათი ყურადღება მიზნით იყო მართული, ხოლო დანარჩენთა ყურადღება – სტიმულით
- (ბ) საკუთარი სახელის გარდა, სხვა სახელი ვერც ერთმა ცდისპირმა ვერ გაიგონა, რადგან ეს ინფორმაცია არ იყო მათთვის მნიშვნელოვანი
- (გ) ცდისპირთა უმრავლესობამ, ერთმარცვლიანი სიტყვების გარდა, ვერ გაიგონა რაიმე სხვა ინფორმაცია, რადგან მიწოდებულ სახელებს შორის არ იყო მათი საკუთარი სახელი
- (დ) ცდისპირთა უმრავლესობამ, ერთმარცვლიანი სიტყვების გარდა, ვერ გაიგონა რაიმე სხვა ინფორმაცია, რადგან მათ სხვადასხვა ყურში სხვადასხვა ჩანაწერი მიეწოდებოდა

**48.** ტექსტის ბოლო აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ:

- (ა) ყურადღება, ძირითადად, ახერხებს ინფორმაციის გაფილტვრას მანამდე, ვიდრე ის ცნობიერებას მიაღწევს
- (ბ) ყურადღება არასოდეს ფილტრავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც რაიმე ნიშნითაა გამორჩეული
- (გ) ინფორმაცია, რომელიც, ინსტრუქციის თანახმად, ყურადღების მიღმა უნდა დარჩენილიყო, გადამუშავდება, მაგრამ უმეტესწილად ცნობიერებამდე ვერ აღწევს
- (დ) ინფორმაცია, რომელიც, ინსტრუქციის თანახმად, ყურადღების მიღმა უნდა დარჩენილიყო, ზოგჯერ გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით ცნობიერდება

**49.** რა მიმართებაა ტექსტის IV და V აბზაცებს შორის?

- (ა) V აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტი ადასტურებს IV აბზაცში მოყვანილი თეორიის ყველა დებულებას
- (ბ) V აბზაცში წარმოდგენილი ექსპერიმენტის შედეგები IV აბზაცში განხილული თეორიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს
- (გ) V აბზაცში წარმოდგენილი ექსპერიმენტის შედეგები ეჭვქვეშ აყენებს IV აბზაცში მოყვანილი თეორიის ერთ-ერთ დებულებას
- (დ) V აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტი არც განამტკიცებს და არც ეჭვქვეშ აყენებს IV აბზაცში წარმოდგენილ თეორიას

**50.** ტექსტის რომელ აბზაცებს აქვს ანალოგიური ფუნქცია?

- (ა) მხოლოდ I, III და V აბზაცებს
- (ბ) მხოლოდ II, III და IV აბზაცებს
- (გ) II და III აბზაცებს; I, IV და V აბზაცებს
- (დ) I და IV აბზაცებს; II, III და V აბზაცებს

# მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;  
1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი:  $a$  რიცხვის  $k\%$  არის  $a \cdot \frac{k}{100}$ .

3. ხარისხი:  $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$  ( $n$ -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: თუ  $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$ , მაშინ  $ad = bc$ .

5. სიჩქარე:  $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$

7. ალბათობა: თუ ყველა ელემენტარული ხდომილება თანაბრად მოსალოდნელია, მაშინ ხდომილობის ალბათობა ტოლია ამ ხდომილობის ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილობათა რაოდენობის შეფარდებისა ელემენტარულ ხდომილობათა საერთო რაოდენობასთან.

თუ ამოცანის პირობაში საწინააღმდეგო არაა ნათქვამი, ყოველთვის იგულისხმება, რომ ელემენტარული ხდომილობები თანაბრად მოსალოდნელია.

8. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a + b)^2 = a^2 + 2ab + b^2$$


$$(a - b)^2 = a^2 - 2ab + b^2$$

$$(a + b)(a - b) = a^2 - b^2$$

9. ნახაზზე კუთხე შეიძლება


მონიშნული იყოს კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით, მართი კუთხე კი - პატარა კვადრატით.

$\angle A$  აღნიშნავს  $A$  კუთხის სიდიდეს.



10. პარალელური წრფეები:

ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია:  $\alpha = \beta$ .



11. სამკუთხედი:


• სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი  $180^\circ$ -ის ტოლია;

• პითაგორას თეორემა:

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრეტი კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის ტოლია:

$$AB^2 = AC^2 + BC^2$$

• სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია:  $S = \frac{ah}{2}$ .



12. ოთხკუთხედი:

• ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი  $360^\circ$ -ის ტოლია;

• მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია:  $S = ab$ ;

• პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია:  $S = ah$ .

13. წრე, წრეწირი:

• წრეწირის სიგრძე  $L$  მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით:  $L = 2\pi r$ ;

$\pi$  რიცხვი, მესამედის სიზუსტით, 3,14-ის ტოლია;


•  $r$  რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით:  $S = \pi r^2$ .



14. მართკუთხა პარალელებიპედი:

• მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია:  $V = abc$ ;

• კუბის შემთხვევაში:  $a = b = c$ .



## რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს  $A$  და  $B$  სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ  $A$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $B$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ  $B$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $A$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	$A$	$B$	
--	-----	-----	--

51.	$\frac{1}{4} - \frac{1}{5}$	$\frac{1}{2} - \frac{1}{3}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	-----------------------------	-----------------------------	-----------------

52.	ტოლგვერდა სამკუთხედის პერიმეტრის კვადრატის პერიმეტრზე ნაკლებია.	პერიმეტრი კვადრატის	(ა) (ბ) (გ) (დ)
	ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდის სიგრძე	კვადრატის გვერდის სიგრძე	

53.	$a = 3, b = -2.$	$4a + b$	(ა) (ბ) (გ) (დ)
	$2a - 3b$		

54.	რიცხვების ციფრულ ჩანაწერებში ზოგიერთი ციფრი კვადრატითაა დაფარული (თითო ციფრი – თითო კვადრატით).	ზოგიერთი ციფრი	(ა) (ბ) (გ) (დ)
	$3 \blacksquare 6 + 29 \blacksquare$	$5 \blacksquare 5$	

55.	ათკუთხა პირამიდის წახნაგების რაოდენობა	ექვსკუთხა პირამიდის წიბოების რაოდენობა	(ა) (ბ) (გ) (დ)

	$k$ ნატურალური რიცხვია.		
<b>56.</b>	$2^{2k+4}$	$8 \cdot 4^k$	(ა) (ბ) (გ) (დ)

	<p>ტოლდანაყოფებიან სკალაზე მონიშნულია P, Q და R კუნძულების ფართობთა შესაბამისი წერტილები. ამასთან, Q და R კუნძულების ფართობები ნახაზზეა მითითებული.</p>	
<b>57.</b>	<p>P კუნძულის ფართობი</p> <p style="text-align: center;">710 კმ<sup>2</sup></p>	(ა) (ბ) (გ) (დ)

	<p>კლების მიხედვით დალაგებული ნებისმიერი ხუთი რიცხვის მედიანა ამ რიცხვებიდან შუა რიცხვის ტოლია. მოცემულია კლების მიხედვით დალაგებული ხუთწევრიანი მიმდევრობა, რომლის მეოთხე წევრი 15-ზე ნაკლებია.</p>	
<b>58.</b>	<p>ამ მიმდევრობის მედიანა</p> <p style="text-align: center;">15</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)

## ამოცანები


**59.** 7 მილიონ 600 ათასზე 2 მილიონ 500 ათასით მეტია:

- (ა) 9,1 მილიონი
- (ბ) 9,5 მილიონი
- (გ) 9,6 მილიონი
- (დ) 10,1 მილიონი
- (ე) 10,6 მილიონი

**60.** სამი რიცხვიდან პირველი ხუთჯერ მეტია მეორეზე, ხოლო მესამე რიცხვი სამჯერ ნაკლებია პირველი და მეორე რიცხვების ჯამზე. რამდენჯერ ნაკლებია მეორე რიცხვი მესამეზე?

- (ა) 2-ჯერ
- (ბ) 3-ჯერ
- (გ) 4-ჯერ
- (დ) 5-ჯერ
- (ე) 6-ჯერ

61. ერთნაირი აგურები სვეტებად ისე დააწყვეს, რომ თითოეულ სვეტში აგურების რაოდენობა ტოლი იყო (იხ. ნახაზი). სულ რამდენი აგური დაუწყვიათ?




- (ა) 66
- (ბ) 72
- (გ) 78
- (დ) 84
- (ე) 90

62. თუ  $\frac{0,8}{y-6} = \frac{0,8}{9-2y}$ , მაშინ  $2-y =$

- (ა) -3
- (ბ) -2
- (გ) -1
- (დ) 2
- (ე) 4

## მონაცემთა ანალიზი

ობსერვატორიაში მისულ დამთვალეირებლებს მზის დისკოზე ტელესკოპით დაკვირვებას სთავაზობენ (თუ ცა მოწმენდილი იქნება). დიაგრამაზე ტეხილებით შემოსაზღვრულია არეები, რომლებიც გვიჩვენებს, ივნისის რომელ დღეებში და რომელ საათებში შეეძლოთ ობსერვატორიაში მისულ დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება. მაგალითად, დიაგრამიდან ჩანს, რომ 1 ივნისს მზის დისკოზე დაკვირვება შესაძლებელი იყო მხოლოდ 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

**63.** რამდენი საათის განმავლობაში შეეძლოთ დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება 20 ივნისს?

- (ა) 5
- (ბ) 6
- (გ) 7
- (დ) 8
- (ე) 9

**64.** ჩამოთვლილთაგან რომელ დღეს ~~არ შეეძლოთ~~ დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება 18.00 სთ-ზე?

- (ა) 3 ივნისს
- (ბ) 8 ივნისს
- (გ) 18 ივნისს
- (დ) 22 ივნისს
- (ე) 27 ივნისს

**65.** ივნისში სულ რამდენი დღე იყო ისეთი, როცა დამთვალეირებლებს მზის დისკოზე დაკვირვება მინიმუმ 8 საათის განმავლობაში შეეძლოთ?

- (ა) 10
- (ბ) 8
- (გ) 6
- (დ) 4
- (ე) 2

**66.** ტელესკოპით მზის დისკოზე დაკვირვება ერთ საათში მაქსიმუმ 50 დამთვალეირებელს შეუძლია. ტელესკოპით სარგებლობის საფასური თითოეული დამთვალეირებლისთვის 60 თეთრია. მაქსიმუმ რამდენი ლარი შეიძლება იყოს დამთვალეირებელთა მიერ გადახდილი თანხის საერთო რაოდენობა 6 ივნისს ტელესკოპით სარგებლობისთვის?

- (ა) 110
- (ბ) 180
- (გ) 200
- (დ) 240
- (ე) 280


## ამოცანები

**67.** სამგზავრო თვითმფრინავი თბილისიდან ტალინში მხოლოდ სამშაბათობით დაფრინავს. ჩამოთვლილთაგან როდის შეიძლება გადაფრენილიყო თვითმფრინავი თბილისიდან ტალინში (ნახაზზე მოცემულია იმავე წლის დეკემბრის კალენდარი)?

	დეკემბერი				
ორშაბათი	4	11	19	26	
სამშაბათი	5	12	20	27	
ოთხშაბათი	6	13	21	28	
ხუთშაბათი	7	14	22	29	
პარასკევი	1	8	16	23	30
შაბათი	2	9	17	24	31
კვირა	3	10	18	25	

- (ა) 9 ნოემბერს
- (ბ) 12 ნოემბერს
- (გ) 16 ნოემბერს
- (დ) 19 ნოემბერს
- (ე) 21 ნოემბერს

**68.**  $M$  წერტილი  $ABC$  სამკუთხედის  $AC$  გვერდზე მდებარე ისეთი წერტილია, რომ  $AM$  და  $AB$  მონაკვეთები ერთმანეთის ტოლია.  $\angle A = 40^\circ$ ,  $\angle C = 25^\circ$ . რისი ტოლია  $\angle MBC$ ?



- (ა)  $65^\circ$
- (ბ)  $55^\circ$
- (გ)  $50^\circ$
- (დ)  $45^\circ$
- (ე)  $35^\circ$

**69.**  $b$  ისეთი რიცხვია, რომ  $1 + 2b < 8 - 4b$ . ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს  $2b$ ?

- (ა) 1,5
- (ბ) 1,8
- (გ) 2
- (დ) 2,1
- (ე) 2,5

**70.** ძველად ეგვიპტელები ერთეულებს აღნიშნავდნენ  $|$  ნიშნით, ათეულებს –  $\Lambda$  ნიშნით, ხოლო ასეულებს –  $\text{F}$  ნიშნით. მაგალითად, რიცხვი 243 ძველეგვიპტურად ასე ჩაიწერებოდა:  $\text{F}\text{F}\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda$ . როგორ ჩაიწერება ძველეგვიპტურად  $\text{F}\text{F}\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda + \Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda$  ჯამის გამოთვლით მიღებული რიცხვი?


- (ა)  $\text{F}\text{F}\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda$
- (ბ)  $\text{F}\text{F}\text{F}\Lambda\Lambda\Lambda\Lambda$
- (გ)  $\text{F}\text{F}\text{F}\Lambda\Lambda$
- (დ)  $\text{F}\text{F}\Lambda\Lambda\Lambda$
- (ე)  $\text{F}\text{F}\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda\Lambda$



71. კლასში 27 მოსწავლეა. მათგან ძმა ჰყავს 14 მოსწავლეს, და – 16-ს, ხოლო ღია, ვაჟა და დიტო დედისერთები არიან. ამ კლასის სულ რამდენ მოსწავლეს ჰყავს დაც და ძმაც?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5
- (ე) 6

72. მართკუთხა სამკუთხედიდან, რომლის ერთი კათეტის სიგრძეა 5 სმ, მეორისა – 7 სმ, ამოკვეთილია კვადრატის, რომლის გვერდის სიგრძეა 2 სმ. რამდენი კვადრატული სანტიმეტრია სამკუთხედის დარჩენილი ნაწილის ფართობი?



- (ა) 13,5
- (ბ) 20
- (გ) 27,5
- (დ) 31
- (ე) 32,5


73. ანსამბლში 5 მომღერალია. ნიკა 4 წლით უფროსია სანდროზე, ირაკლი 6 წლით უმცროსია ნიკაზე, სანდრო 8 წლით უფროსია ლევანზე, მაგრამ 7 წლით უმცროსია მერაბზე. მათგან ყველაზე უმცროსი 18 წლისაა. რამდენი წლისაა სანდრო?

- (ა) 23
- (ბ) 24
- (გ) 25
- (დ) 26
- (ე) 27

74. თუ  $x$ ,  $y$  და  $z$  ერთმანეთისგან განსხვავებული ნატურალური რიცხვებია, რომელთაგან თითოეული 9-ზე ნაკლებია, მაშინ  $\frac{5z}{x+2y}$  გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობაა:

- (ა) 8
- (ბ) 10
- (გ) 15
- (დ) 20
- (ე) 40

75. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი ტეხილის წვეროთა კოორდინატები შეიძლება იყოს  $(-1; -2)$ ,  $(0; 0)$ ,  $(1; 0)$ ,  $(2; 2)$ ,  $(3; 1)$ ,  $(4; 4)$ ?



## რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს  $A$  და  $B$  სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ  $A$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $B$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ  $B$  სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია  $A$  სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);


თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	$A$	$B$	
<b>76.</b>	6 ცალ მიხაკში და 1 ვარდში 15 ლარი გადაიხადეს.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	4 ცალი მიხაკის ღირებულება	10 ლარი	
<b>77.</b>	$( )^*$ -ით აღნიშნულია ფრჩხილებში მოთავსებული რიცხვების ჯამის მნიშვნელობა. მაგალითად, $(2; 1; 7)^* = 2 + 1 + 7 = 10$ . $m, n$ და $k$ – ნებისმიერი რიცხვებია.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$(m; n)^* + (n; k)^*$	$(m; n; k)^*$	
<b>78.</b>	მართკუთხედის ფართობია $21 \text{ სმ}^2$ . MNK სამკუთხედის ორი წვერო ამ მართკუთხედის დიდი გვერდების შუაწერტილებს ემთხვევა, ხოლო მესამე წვერო მართკუთხედის მცირე გვერდზე მდებარეობს.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	MNK სამკუთხედის ფართობი	$5 \text{ სმ}^2$	
<b>79.</b>	ილიას ხელფასი 20%-ით მომატების შედეგად $a$ ლარით გაიზარდა, ხოლო თორნიკეს ხელფასი 25%-ით დაკლების შედეგად $2a$ ლარით შემცირდა.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ილიას ხელფასი მომატებამდე	თორნიკეს ხელფასი შემცირებამდე	

80.	6 საათის განმავლობაში 6 ერთნაირი ნათურის ნათებისას იხარჯება 40 თეთრის ღირებულების ელექტროენერგია.	80 თეთრი	(ა) (ბ) (გ) (დ)
	9 საათის განმავლობაში 9 ასეთივე ნათურის ნათებისას დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება		

81.	ანას და სოფოს სიმაღლეთა საშუალო არითმეტიკული სოფოს და ეკას სიმაღლეთა საშუალო არითმეტიკულის ტოლია.	ეკას სიმაღლე	(ა) (ბ) (გ) (დ)
	ანას და ეკას სიმაღლეთა საშუალო		

82.	წრეწირი, რომლის რადიუსის სიგრძეა $r$ , მასზე მდებარე A და B წერტილებით დაყოფილია ორ რკალად, რომელთაგან უმცირესის სიგრძე $c$ -ს ტოლია. OA და OB რადიუსებით შედგენილი კუთხის სიდიდეა $90^\circ$ .		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$c$		

## ამოცანები

83. ციფრებით: 5, 6 და 7 ჩაწერეს ყველა შესაძლო ათწილადი ისე, რომ ყოველი ათწილადის ჩაწერისას გამოიყენეს სამივე ციფრი, თითოეული – მხოლოდ ერთხელ. მიღებული ათწილადებიდან უდიდესისა და უმცირესის ჯამი ტოლია:

- (ა) 62,15-ის
- (ბ) 73,17-ის
- (გ) 82,17-ის
- (დ) 83,7-ის
- (ე) 84,15-ის

84. თუ  $x$ -ის ნახევარი  $y$ -ის 25%-ით აღმატება  $y$ -ს, მაშინ  $x - y =$

- (ა)  $1,25y$
- (ბ)  $1,5y$
- (გ)  $1,75y$
- (დ)  $2y$
- (ე)  $2,25y$

85. მარიმ აკვარელის საღებავებით დახატა პორტრეტი, ნატურმორტი და პეიზაჟი. შემდეგ სამივე ჟანრის თითო ნახატი ზეთის საღებავებითაც შეასრულა. მას შესთავაზეს, რომ გამოფენაზე გამოეტანა სამივე ჟანრის თითო ნახატი, ოღონდ ამ ნახატებიდან ორი მაინც უნდა ყოფილიყო ზეთის საღებავებით შესრულებული. ნახატების შერჩევის რამდენი ვარიანტი აქვს მას?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5
- (ე) 6


86. დახლზე მხოლოდ ვაშლი, მსხალი და ატამი აწყვია. ვაშლის წონა ამ ხილის საერთო წონის  $\frac{3}{8}$  ნაწილია, მსხლის წონა  $-\frac{1}{2}$  ნაწილი, ატამის წონა კი მსხლის წონაზე

12 კგ-ით ნაკლებია. სულ რამდენი კილოგრამი ატამი აწყვია დახლზე?

- (ა) 4
- (ბ) 6
- (გ) 8
- (დ) 10
- (ე) 12

## მონაცემთა ანალიზი

წრიულ დიაგრამაზე მოცემულია, 2006 წელს საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართა საერთო რაოდენობის რამდენი პროცენტი იყო საქართველოდან, და რამდენი – ევროკავშირიდან, უკრაინიდან თუ სხვა ქვეყნებიდან. ცხრილში კი მოცემულია, 2005 და 2006 წლებში საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართაგან რამდენი ათასი იყო საქართველოდან და უკრაინიდან, და რა იყო მათი სასტუმროში გაჩერების მთავარი მიზეზი (დასვენება, საქმიანი კონტაქტების დამყარება თუ სხვა).



	დასვენება		საქმიანი კონტაქტები		სხვა მიზეზი	
	საქართველო	უკრაინა	საქართველო	უკრაინა	საქართველო	უკრაინა
2005 წ.	26	3,6	31	10	32	1,4
2006 წ.	36	5,8	48	16	42	6,2

დიაგრამისა და ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ შეკითხვას:

**87.** რამდენჯერ ნაკლები იყო 2006 წელს საქართველოს სასტუმროებში დარეგისტრირებულ უკრაინიდან ჩამოსულ სტუმართა რაოდენობა ევროკავშირიდან ჩამოსულ სტუმართა რაოდენობაზე?

- (ა) 1,2-ჯერ
- (ბ) 1,4-ჯერ
- (გ) 1,5-ჯერ
- (დ) 1,6-ჯერ
- (ე) 1,8-ჯერ

**88.** რამდენი ათასი საქართველოს მოქალაქე დარეგისტრირებულა საქართველოს სასტუმროებში 2005 წელს?

- (ა) 51
- (ბ) 63
- (გ) 82
- (დ) 89
- (ე) 92

**89.** რამდენი პროცენტით მეტი იყო 2006 წელს უკრაინიდან საქმიანი კონტაქტების დამყარების მიზნით ჩამოსულ და სასტუმროებში დარეგისტრირებულ სტუმართა რაოდენობა 2005 წელთან შედარებით?

- (ა) 10%-ით
- (ბ) 25%-ით
- (გ) 40%-ით
- (დ) 60%-ით
- (ე) 75%-ით

**90.** ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული რამდენი ათასი სტუმარი დარეგისტრირებულა საქართველოს სასტუმროებში 2006 წელს?

- (ა) 24
- (ბ) 27
- (გ) 30
- (დ) 36
- (ე) 42

## ამოცანები

**91.** ისეთი წილადებიდან, რომელთა მნიშვნელი 40-ის ტოლია, რამდენია  $\frac{2}{5}$ -ზე მეტი, მაგრამ  $\frac{3}{4}$ -ზე ნაკლები?

- (ა) 10
- (ბ) 11
- (გ) 12
- (დ) 13
- (ე) 15

**92.** სპილენძის მადანს ორი საბადოდან მოიპოვებენ. პირველი საბადოდან მოპოვებული მადანის გადამუშავებით მიღებული სპილენძის წონა მადანის წონის 6-7 %-ია, ხოლო მეორე საბადოდან მოპოვებული მადანის გადამუშავებით მიღებული სპილენძისა – 3,5-4,5%. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს პირველი საბადოდან მოპოვებული 300 ტონა მადანის გადამუშავებით მიღებული სპილენძის წონის შეფარდება მეორე საბადოდან მოპოვებული 200 ტონა მადანის გადამუშავებით მიღებული სპილენძის წონასთან?

- (ა) 1,5
- (ბ) 1,8
- (გ) 2,4
- (დ) 3,1
- (ე) 4,2

**93.** ტეხილის სამივე წვერო იმ ბადის კვანძებს ემთხვევა, რომლის თითოეული უჯრედი კვადრატია (იხ. ნახაზი). რამდენჯერ მეტია ამ ტეხილის სიგრძე ბადის უჯრედის გვერდის სიგრძეზე?

- (ა) 13-ჯერ
- (ბ) 13,5-ჯერ
- (გ) 14-ჯერ
- (დ) 14,5-ჯერ
- (ე) 15-ჯერ



**94.** მაღაზიაში წითელი, მწვანე და ლურჯი ფერის კალმები იყიდება. თითოეული წითელი კალამი 10 თეთრი ღირს, მწვანე – 20 თეთრი, ხოლო ლურჯი – 40 თეთრი. ელენემ ამ მაღაზიაში სამივე ფერის 10 კალამი იყიდა, რაშიც სულ 1 ლარი და 60 თეთრი გადაიხადა. რამდენი ლურჯი კალამი უყიდა ელენეს?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

**95.** მარილის წონა ხსნარის წონის 3%-ს შეადგენდა. ხსნარს შეურიეს სუფთა წყალი, რომლის წონა ორჯერ ნაკლები იყო ხსნარის წონაზე. მიღებული ხსნარის წონის რამდენი პროცენტი იქნება მარილის წონა?

- (ა) 1%
- (ბ) 1,5%
- (გ) 2%
- (დ) 2,5%
- (ე) 3%

**96.** თოკი დაჭრეს 5 ნაწილად, შემდეგ ერთ-ერთი ნაჭერი კვლავ 5 ნაწილად დაჭრეს და ასე გაიმეორეს რამდენჯერმე. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს მიღებული ნაჭრების საერთო რაოდენობა?

- (ა) 25
- (ბ) 37
- (გ) 45
- (დ) 49
- (ე) 51

**97.** სიბრტყეზე მოცემულია სამი წრეწირი, რომელთა რადიუსების სიგრძეა 4 სმ. ამ წრეწირთა ცენტრებს შორის მანძილებია 8 სმ, 10 სმ და 12 სმ. სულ რამდენია ისეთი წერტილი, რომელიც ამ წრეწირთაგან რომელიმე ორის საერთო წერტილია?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5

**98.** სამგზავრო მატარებელი, ისევე, როგორც სატვირთო მატარებელი, თანაბარი სიჩქარით, შეფერხებების გარეშე მოძრაობდა. სატვირთო მატარებელმა 20 წუთში 2-ჯერ უფრო ნაკლები მანძილი გაიარა, ვიდრე სამგზავრო მატარებელმა – 32 წუთში. რამდენჯერ აღემატება სატვირთო მატარებლის მიერ 30 წუთში გავლილი მანძილი სამგზავრო მატარებლის მიერ 10 წუთში გავლილ მანძილს?

- (ა) 1,6-ჯერ
- (ბ) 1,8-ჯერ
- (გ) 2-ჯერ
- (დ) 2,4-ჯერ
- (ე) 2,8-ჯერ

**99.** ABCDEFK შეიღკუთხედის C, E და K წვეროებიდან გავლებულია ყველა დიაგონალი. რისი ტოლია ამ დიაგონალების რაოდენობა?

- (ა) 8
- (ბ) 9
- (გ) 10
- (დ) 11
- (ე) 12

**100.**  $p$  და  $q$  ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ  $13 < q < 19$  და  $p - q = 41$ . მინიმუმ რისი ტოლი შეიძლება იყოს  $p$ -ს  $q$ -ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- (ა) 1
- (ბ) 2
- (გ) 3
- (დ) 4
- (ე) 5





ზოგადი უნარების ტესტის  
პასუხების ფურცელი

შტრიხკოდის ადგილი

პროგრამა არჩეულ პასუხად აღიქვამს შემდეგ სიმბოლოს



შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად



პირბაღური ნაწილი

ანალოგიები									წინადადებები				ლოზიკა				ტექსტი								
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
ა									×			×		×							×				ა
ბ	×		×	×		×		×		×	×					×		×							ბ
გ					×		×								×				×						გ
დ		×											×				×			×		×	×	×	დ

ანალოგიები						წინადადებები						ლოზიკა				ტექსტი									
26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	
ა			×		×				×	×				×		×	×		×						ა
ბ				×			×														×	×			ბ
გ		×				×		×			×									×			×		გ
დ	×											×	×		×			×						×	დ

გაითვასტიკური ნაწილი

რაოდენობრივი შეფარება								სომცანები				ომცანების ანალოგი				სომცანები									
51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	
ა			×	×		×			×		×										×				ა
ბ	×				×							×		×					×				×		ბ
გ							×			×			×												გ
დ		×					×	×							×		×				×				დ
ე																×		×		×				×	ე

რაოდენობრივი შეფარება								სომცანები				ომცანების ანალოგი				სომცანები									
76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100	
ა			×		×					×								×		×					ა
ბ	×			×		×		×															×		ბ
გ						×	×		×		×					×	×		×						გ
დ		×										×	×		×								×		დ
ე														×					×					×	ე

" გვეცანი პასუხების მონიშვნის ინსტრუქციას და მზად ვარ, დავიწყო მუშაობა "

---



---